საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 17-1/7981
04/08/2022

7981-17-1-2-202208041558

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს,

ქალბატონ თამარ ზარანდიას

რეკომენდაცია

(შემუშავებულია და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.)

ბატონო გიორგი,

ქალბატონო თამარ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, საკუთარი ინიციატივით ჩატარებული შემოწმების ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ზოგიერთ საგანში გამოყენებული ერთ-ერთი სახელმძღვანელოს შინაარსი შეისწავლა.[1] კერძოდ, შესწავლილ იქნა არჩევით საგნებში - „სასჯელის შეფარდება“ და „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“ დამხმარე და ძირითად მასალად გამოყენებული წიგნის, „სასჯელი და მისი შეფარდება“ შინარსიის შესაბამისობა ადამიანის ძირითად უფლებებთან.[2]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, საგანმანათლებლო სფეროში აფერხებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას და ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნების მიღწევას.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 16 სექტემბრის 10000/21 ოქმი;
[2] ცქიტიშვილი თ., "სასჯელი და მისი შეფარდება" გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი 2019; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2021 წლის 18 ოქტომბრის 21425/31-05 წერილი.

ფაქტობრივი გარემოებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, თემურ ცქიტიშვილის ავტორობით 2019 წელს გამოცემული წიგნი „სასჯელი და მისი შეფარდება“ [შემდგომში- შესაფასებელი წიგნი] გამოიყენება საბაკალავრო პროგრამაზე არსებული ორი არჩევითი საგნის სწავლებისას.[3] საგულისხმოა, რომ სასწავლო კურსში- „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“ იგი გამოიყენება სავალდებულო სასწავლო მასალად ხოლო საგნის- „სასჯელის შეფარდება“ სწავლებისას შესაფასებელი წიგნი როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი სასწავლო მასალაა.[4]

შესაფასებელ წიგნში მოცემულია შემდეგი ჩანაწერები:

„გაუპატიურების ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად მიიჩნევა მსხვერპლის ისეთი მაპროვოცირებელი ქმედება, როგორიცაა პოტენციურ დამნაშავესთან ერთად ალკოჰოლური სასმელის დალევა ან ავტომანქანით გასეირნება ის, რომ მსხვერპლი თავისი ქმედებით ქმნის გაუპატიურების მაპროვოცირებელ გარემოებას, შეიძლება გახდეს მსჯავრდებულისთვის სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება.“[5] (შემდგომში - „პირველი ჩანაწერი“).

„სამართლის ფუნქცია არ არის ადამიანის ცხოვრების წესის განსაზღვრა. მაშასადამე, გაუპატიურების დროს სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოება შეიძლება იყოს არა მსხვერპლის ცხოვრების წესი, რომ იგი მსუბუქი ყოფაქცევისაა, არამედ მსხვერპლის წინარე (მაგალითად, პროვოკაციული) ქმედება.“[6] (შემდგომში - „მეორე ჩანაწერი“)

“როდასაც საუბარია გაუპატიურების მაპროვოცირებელ მიზეზად მსხვერპლის პოტენციურ მოძალადესთან ერთად ალკოჰოლური სასმელის დალევაზე ან ა/მანქანით გასეირნებაზე, მხედველობაშია მისაღები სხვა გარემოებებიც, რომელშიც აღნიშნული მოქმედებები განხორციელდა. დასახელებული ქმედებები შეიძლება ყოველთვის არ განიხილებოდეს მაპროვოცირებელ გარემოებად.”[7] (შემდგომში - მესამე ჩანაწერი")

„გაუპატიურება: გაუპატიურების შემთხვევაში სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად განიხილავენ დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ადრე არსებულ სქესობრივ კავშირს, ვინაიდან ასეთ დროს ხელყოფა შედარებით უფრო მსუბუქად აღიქმება, რაც სასჯელის შემცირების გამართლების საფუძველია. თუმცა, ესეც ცალკეულ გარემოებებზეა დამოკიდებული. თუ დამნაშავე და მსხვერპლი გაცილებულები იყვნენ და ერთად არ ცხოვრობდნენ, მაშინ ადრე არსებული სქესობრივი კავშირი ვერ იქნება შემამსუბუქებელ გარემოებად გათვალისწინებული.“[8] (შემდგომში - „მეოთხე ჩანაწერი“)

---

[3] თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2021 წლის 18 ოქტომბრის 21425/31-05 წერილი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2022 წლის 10 ივნისის 13404/31-05 წერილი;

[4] ერთ-ერთ სილაბუსში შესაფასებელი წიგნი მითითებულია დამატებით ხოლო მეორეში- სავალდებულო ლიტერატურად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2021 წლის 18 ოქტომბრის 21425/31-05 წერილი;

[5] ცქიტიშვილი თ., „სასჯელი და მისი შეფარდება“ გამომცემლობა „მერიდიანი,“ თბილისი 2019, გვ. 198.

[6] იქვე, გვ. 232.

[7] იქვე, გვ. 198

[8] იქვე, გვ, 232.

"სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ის, რომ გაუპატიურების მსხვერპლი პროსტიტუციაშია ჩართული და *მსუბუქი ყოფაქცევის ქალია.*"[9] (შემდგომში - „მეხუთე ჩანაწერი").

სამართლებრივი შეფასება

ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება მოიცავს ცოდნასა და უნარებს, რაც თავისმხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებებისა და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის მიღებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას.[10] ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და ქცევას, რაც ნიშნავს ადამიანის უფლებათა სწავლების შედეგად იმგვარი ღირებულებათა სისტემისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტით დაცვაზე.[11]

ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მიღების შედეგად, სტუდენტი არამხოლოდ სრულყოფილად უნდა ფლობდეს აღწერილ ინფორმაციას, არამედ თავადაც მზად უნდა იყოს უფლებათა დასაცავად კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად.[12] აღსანიშნავია, რომ განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი და პროცესი, კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.[13]

ამასთან, გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, ზოგადად, სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალები „გადაიხედოს და განახლდეს [იმდაგვარად, რომ] ისინი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს".[14]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „განათლების უფლება, დემოკრატიულ საზოგადოებაში, განუყოფელია ადამიანის უფლებათა გავრცელებისაგან და შესაბამისად, აკისრია იმდენად ფუნდამენტური როლი, რომ მისი შემზღუდველი განმარტება შეუსაბამოა საკუთრივ მუხლის მიზანთან."[15] ამასთან ერთად, სასამართლომ დაამკვიდრა მიდგომა, რომ განათლების უფლება საერთაშორისო სამართალში არსებულ სხვა შესაბამის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან ჰარმონიაში უნდა იქნეს გაგებული.[16]

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად: „...განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის

---

[9] იქვე.
[10] Plan of Action for the third phase (2015–2019) of the World Programme for Human Rights Education Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, p.4.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] იქვე, p. 7.
[14] Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010, p. 13.
[15] Guide on Article 2 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights updated on 30 April 2022, პარაგრაფი 8, იხ. https://bit.ly/3FfMiC1 [ბოლოს ნანახია 07/07/2022]
[16] იქვე, პარაგრაფი 10.

უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას".[17] ამ ნორმის განმარტებისას, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი აცხადებს, რომ „განათლება უდიდეს როლს თამაშობს ქალების გაძლიერებაში და აუცილებელია ადამიანის უფლებების სრულფასოვანი რეალიზებისათვის."[18]

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია: „ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის".[19]კანონის თანახმად, ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს „სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას".[20] ეს კანონისმიერი ვალდებულება ეკისრებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასაც.[21]

საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნული სტანდარტები ასევე მიმოიხილა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამოყენებული სასწავლო მასალის შეფასებისას და განმარტა: „კანონის ეს მიზანი გაგებული უნდა იყოს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ არამხოლოდ თავისი ფუნქციების განხორციელებისას ეთიკური, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის ღირებულებების განმტკიცებისკენ მიმართული მოქალაქეების ჩამოყალიბების სოციალური პასუხიმგებლობა, ამასთან თავის წიაღში ადამიანის უფლებათა შესახებ თანამედროვე გამოწვევების (მაგ. დისკრიმინაციის აღმოფხვრა) თაობაზე გლობალური ცოდნის გენერირების პასუხისმგებლობაც."[22]

ამ დასკვნას ამყარებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაც (სტამბულის კონვენცია), რომლის თანახმადაც, სახელწიფო ვალდებულია, საკითხები როგორიცაა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში...ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა და პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, განათლების ყველა დონეზე ჩართოს ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში.[23] მოცემულ ვალდებულებასთან მიმართებით,

---

[17] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერს. საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 03 აგვისტოდან. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

[18] UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General Comment No. 13: The Right to Education (Art. 13 of the Covenant), 8 December 1999, E/C.12/1999/10, იხ. https://bit.ly/3EhJmU1 [ბოლოს ნანახია 07/07/2022] para. 1.

[19] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[20] იქვე, მესამე მუხლის მეორე პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

[21] იქვე, მესამე მუხლის მესამე პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი.

[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 თებერვლის 17-1/2419 რეკომენდაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამოყენებული სახელმძღვანელოების თაობაზე, გვ. 5; Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010, p.9-10.

[23]ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მიღებული 2011 წლის 11 მაისს, საქართველოს მიმართ ძალაშია 2017 წლის 01 სექტემბრიდან. (შემდგომში- სტამბულის კონვენცია) მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

ევროსაბჭო განმარტავს, რომ აღნიშნული ღირებულებების გავრცელებაში საგანმანათლებლო დაწესებულებები დიდ როლს ასრულებენ.[24]

გაუპატიურების "მსხვერპლზე დაბრალების" პრობლემა წიგნში

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის მოსაზრებით, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელია აღმოიფხვრას "მსხვერპლზე დაბრალების" [Victim-Blaming] სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც ქალები თავად არიან პასუხისმგებელნი საკუთარ უსაფრთხოებასა და იმ ძალადობაზე, რომელსაც განიცდიან.[25] ამ სტერეოტიპის აღმოსაფხვრელად, კომიტეტი ხაზს უსვამს ფართო და აქტიური ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოების საჭიროებას.[26] საგულისხმოა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა, ამ მიმართებით საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისად მიიჩნია.[27]

საგულისხმოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქმეზე *Tkhelidze v. Georgia*, პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლის დასაცავად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დისკრიმინაციულ პასიურობად შეაფასა და სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა.[28] საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ ასევე შეაფასა ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი განწყობები გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ და განმარტა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზი უკავშირდება, მათ შორის, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ გენდერულ სტერეოტიპებს..."[29]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაფასებელ წიგნში პირველი სამი ჩანაწერის პრობლემურობა ნათელია. ავტორი გაუპატიურების მაპროვოცირებლად მიიჩნევს პოტენციურ დამნაშავესთან მსხვერპლის მიერ ალკოჰოლური სასმელის დალევას ან ავტომანქანით გასეირნებას. ვინაიდან პოტენციური დამნაშავე ნებისმიერი პირი შეიძლება იყოს ხოლო დასახელებული ქმედებები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ნათელია, რომ პირველი და მეორე ჩანაწერი "მსხვერპლზე დაბრალების" სტერეოტიპს აძლიერებს. ამასთან, მეორე ჩანაწერის კონტექსტური ანალიზი მიუთითებს, რომ ავტორი ამ სტერეოტიპს სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად

---

[24] Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence Istanbul, 11 May 2011, CoETS 210 para. 94.

[25] Committee on the Elimination of Discrimination Against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No.19 adopted on 14 July 2017, para. 35(b); მსხვეპლზე დაბრალების ფენომენთან მიმართებით ასევე იხ. "Rape as a Grave and Systematic Human Rights violation and gender-based violence against women' Expert Group Meeting Report 2020, p. 8; "Rape as a grave, systematic and widespread human rights violation, a crime and a manifestation of gender-based violence against women and girls, and its prevention" Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, Dubravka Šimonović para. 98.

[26] Committee on the Elimination of Discrimination Against Women, General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No.19 adopted on 14 July 2017, para. 35(b).

[27] Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences on her mission to Georgia, A/HRC/32/42/Add.3, 22 July 2016 para. 75.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Tkhelidze v. Georgia* პარ. 56-57; ამავე საკითხთან მიმართებით იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *A and B v. Georgia* პარ. 49

[29] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 08 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Tkhelidze v. Georgia* , პარ. 56.

აღიქვამს, რაც გაუმართლებლად ავიწროვებს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებს სასჯელის შემაკავებელი ეფექტის ჭრილში.[30]

ზემოხსენებულ დასკვნას ვერ ცვლის მესამე ჩანაწერში გაკეთებული მითითება, რომ პირველ ჩანაწერში დასახელებული ქცევები ყოველთვის არ შეიძლება გაუპატიურების მაპროვოცირებლად იქნეს მიჩნეული. ამ მიმართებით აღსანიშნავია, ვინაიდან ავტორი ამ საკითხზე საუბრისას, არსებობის შემთხვევაში, არ უთითებს სასამართლო პრაქტიკაზე ან პოზიტიური სამართლის ნორმაზე და არ განმარტავს რატომ უნდა შეფასდეს ეს ქცევები მოცემულ კონტექსტში, პირველი ჩანაწერი კვლავ მძიმედ სტერეოტიპული დატვირთვის მატარებელია.

ქორწინებაში/პარტნიორულ ურთიერთობაში გაუპატიურების და ტერმინოლოგიის პრობლემა

სტამბულის კონვენცია ადგენს სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმების, მათ შორის გაუპატიურების კრიმინალიზაციის ვალდებულებას. ამასთან, კონვენცია მიუთითებს, რომ ეს ვალდებულება ვრცელდება „...[იმ აქტებზეც], რომლებიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ."[31]

ევროპის საბჭოს განმარტებით, „სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელების ძალიან გავრცელებული ფორმაა ძალადობრივ [abusive] ურთიერთობებში."[32] ხსენებული ხშირად ხდება პარტნიორების დაშორების დროს ან მის შემდეგ.[33] აღნიშნულიდან გამომდინარე, „...აუცილებელია, რომ ყოფილი ან ახლანდელი მეუღლის თუ პარტნიორის მიმართ ჩადენილი ამგვარი ქმედებები, გამონაკლისის გარეშე დაისაჯოს."[34]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ გაუპატიურების შემთხვევაში, მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული წინარე პარტნიორული ურთიერთობის სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნევა, ასუსტებს სტამბულის კონვენციით დადგენილ გარანტიებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებს. სხვა სიტყვებით, კონვენციის მოხმობილი ნორმის მიზანია, პარტნიორულ ურთიერთობებსა თუ მის მიღმა ჩადენილი გაუპატიურების ერთნაირად, უკომპრომისოდ დასჯა. ამდენად, შესაფასებელ წიგნში მოცემული მეოთხე ჩანაწერი სექსუალურ ძალადობასთან კომპრომისს სამართლებრივად დასაშვებად წარმოსახავს.

საგულისხმოა, რომ შესაფასებელ წიგნში გვხვდება ტერმინოლოგიური პრობლემატიკაც. კერძოდ, მეხუთე ჩანაწერში მოცემული "მსუბუქი ყოფაქცევის ქალი" სექსსამუშაოში

---

[30] Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence Istanbul, 11 May 2011, CoETS 210 para. 191; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 2021 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *E.G. v. the Republic of Moldova* როგორც იგი ციტირებულია ნაშრომში- Overview of the Court's case-law 2021 1 January-15 June 2021, p. 37-39 იხ. https://bit.ly/3mgjlys [ბოლოს ნანახია 07/07/2022] გადაწყვეტილების ორიგინალი ხელმისაწვდომია მხოლოდ ფრანგულ ენაზე.

[31] სტამბულის კონვენციის 36-ე მუხლის მესამე პუნქტი.

[32] Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence Istanbul, 11 May 2011, CoETS 210 para. 194.

[33] იქვე.

[34] იქვე.

ჩართული ქალების მიმართ სოციალურ სტიგმას აძლიერებს.[35] დღესდღეისობით, ავტორიტეტულ წყაროებში დამკვიდრებულია ტერმინი სექსმუშაკი.[36]

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შესაფასებელ სახელმძღვანელოში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ხელს უშლის საგანმანათლებლო სფეროში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განმტკიცებას და ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების გაცხადებული მიზნების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში უზრუნველყოთ სამართლის საბაკალავრო პროგრამის საგნების: „სისხლის სამართლის პრაქტიკული კურსი“ და „სასჯელის შეფარდება“ სწავლებისას ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი სასწავლო მასალის გამოყენება. მათ შორის, შეფასებული სახელმძღვანელოს არსებულ რედაქციაზე ცვლილებების მომზადება დანართის სახით და სასწავლო პროცესში დანერგვა.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული რეკომენდაცია და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.

[35] “Framework on Rights of Sex Workers & CEDAW,” International Women’s Rights Action Watch Asia Pacific, 2017, p. 12. იხ. https://bit.ly/3Bi3dAK [ბოლოს ნანახია 07/07/2022]
[36] იქვე.